

გამარჯობა ☺

თქვენ წილად გხვდათ პატივი გამხდარიყავით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის - კავკასიის რეგიონში პირველი აკადემიური იურიდიული სკოლის სტუდენტი.

თქვენ ღირსეულად გაიარეთ რთული ერთიანი ეროვნული გამოცდების გზა, რადგან მსურველი, გამხდარიყო თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, იყო გაცილებით მეტი, ვიდრე ისინი, ვისაც ეს პატივი ერგო. იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე უფროსკურსელი სტუდენტების სახელით გილოცავთ ამ წარმატებას!

იურიდიული ფაკულტეტი ასწლოვან ასაკს მიუახლოვდა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისი აკადემიური ტრადიციების გათვალისწინებით, განათლების ბაზარზე მოთხოვნის, სწავლების ხარისხის, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა თუ სხვა მაჩვენებლებით იგი ლიდერია. აქ თქვენ შეხვდებით საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა წიგნები და სამეცნიერო შრომები ქმნიან ქართულ იურისპრუდენციას.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენ სრულად გამოიყენებთ იმ შესაძლებლობებს, რომელსაც გაძლევთ უნივერსიტეტი.

წარმატებული სწავლისათვის აუცილებელია სრულად გაიაროთ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, რისთვისაც გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

პირველი ნაბიჯი - **შეავსეთ სტუდენტის ელექტრონული ანკეტა** უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე http://tsu.edu.ge

მეორე ნაბიჯი - 2013 წლის 4 სექტემბრიდან 9 სექტემბრამდე (10:00-17:00 საათამდე) მობრძანდით თსუ-ის მეორე აკადემიური კორპუსის რესურს–ცენტრში და **წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტაცია**:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის / პასპორტის ასლი (დედნის წარმოდგენით; სასურველია 2 ეგზემპლარი);

გ) ფოტოსურათის (3x4) ელექტრონული ვერსია CD-ზე;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის; სასურველია 2 ეგზემპლარი);

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მესამე ნაბიჯი - **ადმინისტრაციული რეგისტრაცია.** (4-9 სექტემბერი) სრულად უნდა გადაიხადოთ სწავლის სემესტრული საფასური „ბანკ რესპუბლიკის“, „TBC ბანკის“ ან „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში (სწავლის გადახდასთან დაკავშირებით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საფინანსო განყოფილებას – თსუ–ს პირველი აკადემიური კორპუსი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, ოთახი 019. ტელ.: 2251658).

მეოთხე ნაბიჯი - **აკადემიური რეგისტრაცია - სასწავლო საგნების არჩევა.** აკადემიური რეგისტრაცია არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს 2013 წლის 11 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით. აკადემიური რე–

გისტრაცია ხორციელდება საიტზე http://sms.tsu.ge, საიდანაც უნდა აირჩიოთ სასურველი საგნები (შეგიძლიათ ისარგებლოთ რესურსცენტრით ან ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპი–უტერით). ინფორმაცია ბაზების გახსნის ზუსტი დროის შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ რომელ დღეს, რომელ საათზე დაემატება ადგილები საგნებს განთავსდება იურიდიული ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ.გვერდზე: http://law.tsu.edu.ge/

სავალდებულო სასწავლო საგნებზე ადგილები დაემატება მოთხოვნის შესაბამისად. არც ერთი სტუდენტი არ დარჩება სავალდე–ბულო საგანზე რეგისტრაციის გარეშე. გახსვდეთ, რომ არჩევით სასწავლო დისციპლინაზე რეგისტრაცია ბოლონიელ გლოსა–ტორთა პრინციპით ხორციელდება „primo in tempore, potior in iure“ (დროში პირველი, უფლებაში უპირატესი) ☺

აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ შეგიძლიათ მოგვწეროთ sms.tsu.ge–ის განყოფილებიდან „აკადემიურ რეგისტრაციებთან დაკავშირებული პრობლემები“. თუკი ვერ დარეგისტრირდით რომელიმე სავალდებულო ან არჩევით დისციპლინაზე, გთხოვთ, sms.tsu.ge–ის ამ განყოფილებიდან გამოგვიგზავნოთ შეტყობინება შესაბამისი საგნის მითი–თებით. თქვენი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება სასწავლო საგანში ადგილების დამატებისას.

აკადემიური რეგისტრაციის წარმატებით გასავლელად მნიშვნელოვანია, კარგად გაეცნოთ სამართლის საბაკალავრო პროგრამას: http://law.tsu.ge/ge/faculties/law/study_programs/bachelor.

პირველი კურსის პირველ სემესტრში რეკომენდებულია შემდეგი საგნების გავლა:

1. შესავალი სამართალმცოდნეობაში (სავალდებულო);
2. კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი (სავალდებულო);
3. შესავალი სამოქალაქო სამართალში (სავალდებულო);
4. ქართული სამართლის ისტორია (სავალდებულო);
5. უცხო ენა (სავალდებულო);
6. რომის სამართლის საფუძვლები (აღნიშნულ დისციპლინაზე ადგილების შევსების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ამავე მოდულის სხვა არჩევითი საგანი, ან არაიურიდიული დისციპლინა (8 სემესტრის განმავლობაში სულ 24 კრედიტის ფარგლებში), ან ნებისმიერი სხვა ფაკულტეტის არჩევითი საგანი(ასევე, 8 სემესტრის განმავლობაში სულ 24 კრედიტის ფარ–გლებში).

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ცენტრს (თსუ–ის მეორე აკადემიური კორპუსი, ოთახი N126, სამუშაო დღის განმავლობაში, 09:00–18:00 სთ., შესვენების გარეშე) ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომრებზე: (032) 2 29 05 96.

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციების პროცესში ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრებს (მაღალკურსელ სტუდენტებს - ტუტორებს, რომლებმაც თავად გამოთქვეს თქვენი დახმარების სურვილი). მათი ნახვა შესაძლებელია იურიდიული ფაკულტეტის რესურს–ცენტრში 4–9 სექტემბერს (სამუშაო დღეებში) 10:00-დან 17:00 საათამდე, ხოლო 10 სექტემბრიდან – იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.

1.	ლადო რაფავა	558526631	9.	შალვა ყიფშიძე	598872208
2.	ნატალია ოსიპოვი	557381567	10.	მიხეილ ასლანიანი	598255573
3.	ანა მგელაძე	598436046	11.	ნანა ჯიქიძე	593989123
4.	ვანო ამბროლაძე	599904320	12.	ნინო მიშიძე	579500028
5.	მარიამ ივანიშვილი	598478984	13.	მარიამ ბიბილეიშვილი	598489238
6.	ზიზი ამირანაშვილი	598370630	14.	ლაშა ნოზაძე	597383355
7.	გივი ლუაშვილი	551438805	15.	ნათია ჯინიუზაშვილი	574173939
8.	ანა ფირცხალავა	555553340	16.	თამუნა მეგრელიშვილი	598386144

ინფორმაციის გაცვლის მიზნით ასევე შეგიძლიათ მიმართოთ Facebook–ის ჯგუფს: „იურიდიული ფაკულტეტი 2013-14 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია“ – https://www.facebook.com/groups/411481222295718